ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ივნისის 6.	№ 11 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 119. ახალწვეულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგნილობის საერთო შეკრებილების ორგანიზაციისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

„ 120. იმ მოქალაქეთა წერაკითხვის უცოდინარობის სავალდებულო წესით ლიკვიდაციის შესახებ, რომელნიც გასაწვევი არიან სამხედრო სამსახურის მოსახდელად საკადრო ნაწილებში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში, ჯარგარეშე წესით, ან რომელნიც შესდგომიან გაწვევამდე მომზადებას.

„ 121. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 183, 184^{1}, 185, 186^{1}, 187, 189, 189^{1}, 189^{2}, 189^{3}, 189^{4}. 189^{5}, 189^{8} და 189^{9} მუხლების შეცვლისა და 187^{1}, 188^{1}, 188^{2}, 190^{1} და 190^{2} მუხლების დამატების შესახებ.

„ 122. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 115 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

„ 123. სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. აპრილის 14-ის თარიღისა და 155 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე გავრცელების შესახებ.

„ 124. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 51 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 125. საქალაქო მიწების რენტის გადახდევინების წესების შეცვლის შესახებ.

„ 126. საჭმელებისა და სპირტის სასმელების გამყიდავ საწარმოთა ადგილობრივი გადასახადის უკიდურესი განაკვეთების შეცვლის შესახებ.

„ 127. სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის გადახდევინებული ჯარიმების განაწილების წესის შესახებ.

„ 128. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების მე-13^{1} მუხლის გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

119. ახალწვეულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის საერთო შეკრებილების ორგანიზაციისა და ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ.

ახალწვეულთა შეკრებილებისა და კავკასიის წითელდროშიანი ამრმიის ტერიტორიალური ნაწილების შედგენილობის წინამდებარე საერთო შეკრებილების უზრუნველყოფისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა ადგენენ:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ დაავალონ სათანადო ორგანოებს:

1. ფართოდ გაშალონ და ყოველმხრით უზრუნველჰყონ ა/კსფსრ-ის მშრომელთა ფართო მასებში და კავკასიის წითელდროშიანი არმიის ცვალებად შედგენილობაში აღსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, განსაკუთრებით სოფლად, იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა, რა მიზანი და რა ამოცანა აქვს ტერიტორიალური ნაწილების წინამდებარე შეკრებილებას, რათა ამ შეკრებილების გარეშემო შეიქმნას საღი საზოგადოებრივი აზრი; ასეთი მუშაობისთვის გამოყენებულ უნდა იქნენ საბჭოთა პლენუმები, გლეხთა კრებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრებები, ცვალებადი შედგენილობის კონფერენციები და კრებები და აგრეთვე ადგილობრივი ბეჭდვითი სიტყვა.

2. დაიწესონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მილიციის ორგანოების პასუხისმგებლობა თავის დროზე შეუტყობინებლობისათვის, უკეთუ ამან გამოიწვია ცვალებადი შედგენილობის თავმდგომთა და მერიგეთა დაგვიანება და გამოუცხადებლობა საერთო შეკრებილებაში, და პასუხისგებაში აძლიონ ის პირნი, ვინც უგულვებლობას გამოიჩენს ამ საკითხში.

3. შეამოწმონ ცვალებადი შედგენილობის სიები და თავის დროზე მიაწოდონ ტერიტორიალური ნაწილების კომანდრმას ცნობები იმ პირთა თაობაზე, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლება და რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით ჯერ კიდევ ირიცხებიან ტერიტორიალური ნაწილების სიებში.

4. თავის დროზე გაანთავისუფლონ ცვალებადი შედგენილობის თავმდგომნი და მერიგენი დაწესებულებასა და საწარმოში მუშაობისაგან და მიიღონ სათანადო ზეგავლენის ღონისძიება ადმინისტრაციის პირთა მიმართ, რომელნიც აბრკოლებენ ცვალებადელთა შეკრებილებაში გამოცხადებას.

5. განახორციელონ ცვალებადელთა შედგენილობის ორგანიზებული გამოცხადება, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების თანხლებით, სარაიონო და საოლქო ცენტრებში და მოაწყონ ცვალებადელთა საზეიმო გაცილება კარვობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. უზრუნველჰყონ „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსაზურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსით“ გათვალისწინებული შეღავათები ახალწვეულთა და უფროსი ასაკის ცვალებადელთა და მათ ოჯახთათვის (სსრკ კან. კრ. 1930 წ 23 №-ი, მუხ. 253); აგრეთვე უზრუნველჰყონ 1, 2 და 3 კატეგორიის შეღავათების მქონე ახალწვეულთა ოჯახებისთვის დახმარების მიცემა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 57 №-ი, მუხ. 530) და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იანვრის 17-ის დადგენილების წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 10).

7. წინადადება მისცენ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებს—მოახდინონ სათანადო განკარგულება კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობების მიმართ, რათა მათ შეუნარჩუნონ შეკრებილებაში მყოფ ახალწვეულთ და საერთო შეკრებილებაში მიმავალ უფროსი ასაკის ცვალებადელთ საშუალო საშუაო ხელფასი მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ისინი კარვობად იქნებიან, და აგრეთვე უზრუნველჰყონ ცვალებადელთა ოჯახის შრომის უნარიანი წევრებისათვის შრომის საშუალო დატვირთვა.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 149 №-ში 1930 წ. ივნისის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

120. იმ მოქალაქეთა წერაკითხვის უცოდინარობის სავალდებულო წესით ლიკვიდაციის შესახებ, რომელნიც გასაწვევი არიან სამხედრო სამსახურის მოსახდელად საკადრო ნაწილებში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში, ჯარგარეშე წესით, ან რომელნიც შესდგომიან ჯარში გაწვევამდე მომზადებას.

რადგანაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ წითელი არმიის საკადრო და ტერიტორიალური ნაწილები შეესებულ იქნეს წერაკითხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცოდნე შედგენილობით, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე სავალდებულო წესით წერაკითხვის სწავლება:

ა) თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული და წერაკითხვის უცოდინარი მოქალაქეებისა, რომელთაც უნდა მოიხადონ სამხედრო სამსახური საკადრო ნაწილებში, ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში და ჯარგარეშე წესით, ან უნდა გაიარონ ჯარში გაწვევამდე მომზადება;

ბ) წერაკითხვის ყველა იმ უცოდინარი მოქალაქისა, რომელიც უკვე იძენს ჯარში გაწვევამდე მომზადებას, ან იხდის სამხედრო სამსახურს ტერიტორიალური ნაწილის ცვალებად შედგენილობაში თუ ჯარგარეშე წესით.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველჰყონ ამა დადგენილების 1-ლი მუხლის აღსრულება, იმ ვარაუდით, რომ 1931 წ. აპრილის 1-დან კავკასიის წითელდროშიანი არმიის ტერიტორიალურ და საკადრო ნაწილებში შედიოდეს წერაკითხვის მცოდნე ახალგაზრდობის კონტინგენტი და აგრეთვე მოხდეს ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადელთა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია—წერაკითხვის უცოდნარობის ლიკვიდაციის პუნქტების ქსელის სათანადოდ გაშლით, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში საჭირო სახსარის გადადებით, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებით.

3. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ერთი თვის ვადაზე ინსტრუქციები ამა დადგენილების განსავითარებლად.

4. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 5-ის დადგენილება „ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შედგენილობის წითელარმიელთა და წვევამდელთა „შორის წერაკითხვის უცოდინაროების ლიკვიდაციის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 325) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივლისის 16-ის ინსტრუქცია ზემოაღნიშნული დადგენილების შეფარდების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-7 №-ი, მუხ. 473)—გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი—სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 151 №-ში 1930 წ. ივნისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

121. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 183, 184[1], 185, 186[1], 187, 189, 189[1], 189[2], 189[3], 189[4], 189[5], 189[8] და 189[9] მუხლების შეცვლისა და 187[1], 188[1], 188[2], 190[1] და 190[2] მუხლების დამატების შესახებ.

სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიისა და დახმარების დებულების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 132) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის ქვემომდევნო მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„183. 181 მუხლში აღნიშნული დახმარების გარდა, დახმარება ბავშვის დაბადების გამო მიეცემა დაქირავებით მომუშავე ქალს, აგრეთვე დაქირავებით მომუშავე პირის ცოლს 186[1] მუხლში დაწესებული გამონაკლისით“.

„184[1]. შრომის კანონთა კოდექსის 183 და 184 მუხლებში აღნიშნული დახმარების მიღების უფლება აქვს აგრეთვე იმ უმუშევარს, რომელიც იღებს დახმარებას უმუშევრობის გამო (მუხ. 185), მისი ოჯახის წევრებს და აგრეთვე სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველსაყოფელ შრომის ინვალიდს და მისი ოჯახის წევრებს, უკეთუ მათ მარჩენალი დაკარგეს“.

„185. დახმარება უმუშევრობის გამო მიეცემა მხოლოდ იმ უმუშევარს, რომელსაც წინად დაქირავებით უმუშავნია“.

„186[1]. სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ამყარებს:

ა) დაქირავებით მუშაობის განსაზღვრული (ხოლო არა უმეტეს ერთი წლისა) სტაჟის მოთხოვნას ორსულობისა და შობიერობის გამო დახმარების მიცემისათვის და აგრეთვე ამ სტაჟის გამოანგარიშების წესს;

ბ) დახმარების უკიდურეს თანხას დროებითი შრომის უუნარობისათვის.

სოციალური დაზღვევის სახსართა ნაკლებობის გამო საბჭოს უფლება აქვს შეამციროს ამ დახმარების რაოდენობა, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე სამუშაო ხელფასის ერთი მესამედი, როგორც მთლად სსრკ-ში, ისე ცალკეულ რაიონებში ან დაზღვეულთა ცალკეული კატეგორიებისათვის;

გ) დროებითი შრომისუუნარობისათვის გასაცემი დახმარების გამოანგარიშების წესს და დროებითი შრომისუუნარობის გამო მუშაობისაგან განთავისუფლების წესს;

დ) ორიე მშობლის ან თვითეული მათგანის სამუშაო ხელფასისა, პენსიისა თუ სხვა შემოსავლის უკიდურეს რაოდენობას, როდესაც დახმარება ბავშვის დაბადებისათვის არ გაიცემა, და აგრეთვე დაქირავებით მუშაობის განსაზღვრული (ხოლო არა უმეტეს ერთი წლისა) სტაჟის მოთხოვნას ამ დახმარების მიღებისათვის, და აგრეთვე ამ სტაჟის გამოანგარიშების წესს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) ბავშვის დაბადების გამო დახმარების მიცემის პირობებს, ამ დახმარების სხვადასხვა სახეს და ნორმებს დაზღვეულთა ცალკეული კატეგორიებისათვის და მათი ცოლებისათვის, აგრეთვე კვებისათვის გასაცემი დახმარების ხანგრძლიობას;

ვ) დამარხვისათვის დახმარების გაცემის პირობებსა, დახმარების ნორმებს დაზღვეულთა ცალკეული კატეგორიებისათვის და მათი ოჯახებისათვის, ოჯახის იმ წევრთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ დახმარება თვით დაზღვეულისა, უმუშევრის ან პენსიონერის დასამარხავად;

ზ) უმუშევრობის გამო დახმარების გაცემის პირობებს, ამ დახმარების ნორმებსა და გაცემის უკიდურეს ვადას უმუშევართა ცალკეული კატეგორიებისათვის, აგრეთვე დაქირავებით მუშაობის განსაზღვრული სტაჟის მოთხოვნას უმუშევრობის გამო დახმარების მიღებისათვის და ამ სტაჟის გამოანგარიშების წესს".

„**187**. ინვალიდობის გამო უზრუნველყოფის უფლება აქვთ:

ა) იმ პირთ, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი უბედური შემთხვევის გამო დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით ან პროფესიონალური დაავადებით, მუშაობის სტაჟის მიუხედავად; აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაშავდნენ კულაკური ძალადობის გამო;

ბ) იმ პირთ, რომელთაც დაკარგეს შრომის უნარი სხვა მიზეზების გამო, უკეთუ იმ დღისთვის, როდესაც დამტკიცდა მათი შრომისუუნარობა, ისინი მიღწეულ არიან ოცი წლის ასაკს და უკეთუ მათ აქვთ დაქირავებით მუშაობის საერთო სტაჟი: მუშას—ერთი წლიდან რვა წლამდე და მოსამსახურეს—ერთი წლიდან თორმეტ წლამდე, ასაკის მიხედვით; ხოლო, უკეთუ მათ აღნიშნული დღისათვის არ მიუღწევიათ ზემოხსენებული ასაკისათვის—დაქირავებით მუშაობის ხანგრძლიობის მიუხედავად".

„**187**[1]. სიბერის გამო უზრუნველყოფის უფლება, მიუხედავად შრომის უნარის მდგომარეობისა, აქვთ:

ა) სამთო, სალითონო (აგრეთვე ელექტრომრეწველობის), ქიმიური, საფეიქრო, პოლიგრაფიული, მინა-ფაიფურისა და თამბაქო-წეაოს მრეწველობის მუშებს;

ბ) რკინისგზისა და წყლის ტრანსპორტის მუშებს.

სიბერის გამო უზრუნველყოფის გავრცელებას სხვა დარგის მუშებზე და აგრეთვე მოსამსახურეებზე აწარმოებს სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო".

„**188**[1]. მუშაობის საერთო სტაჟი, რაც სიბერის გამო უზრუნველყოფის უფლებას ანიჭებს (მუხ. 187[1]), განისაზღვრება:

ა) მამაკაცისათვის, რომელმაც დაქირავებით მუშაობის დატოვებამდე მიაღწია სამოც წელს და ამასთანავე დაქირავებით იმუშავა საერთოდ არა ნაკლებ ოცდახუთი წლისა;

ბ) ქალისათვის, რომელმაც დაქირავებით მუშაობის დატოვებამდე მიაღწია ორმოცდახუთმეტ წელს და ამასთანავე დაქირავებით იმუშავა საერთოდ არა ნაკლებ ოცი წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმ პირთა მუშაობის სტაჟი, რომელნიც მიწის ქვეშ მუშაობენ და რომელთაც მუშაობის დატოვებამდე მიიღწიეს ორმოცდაათ წელს, უნდა იყოს საერთოდ არა ნაკლებ ოცი წლისა; ამასთანავე, ამ ოცი წლიდან არა ნაკლებ ათი წლისა უნდა მოდიოდეს მიწის ქვეშ მუშაობაზე.“

„**188²**. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს უფლება აქვს შეამციროს დაწესებული სტაჟი და ასაკი იმ პირთათვის, რომელნიც მუშაობენ იმ მავნებელ წარმოებაში, რაც გათვალისწინებულ არ არის 188¹ მუხლით; აგრეთვე აქვს უფლება დააწესოს საერთო სტაჟი დაქირავებით მუშაობისა იმ დარგებში, სადაც შემოღებულია სიბერის გამო უზრუნველყოფა, პენსიის უფლების მიღებისათვის“.

189. უკეთუ დაქირავებით მომუშავე გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, რაც სათანადოდ იქნება დამოწმებული, ან და გარდაიცვალა კულტური ძალადობისაგან,—უზრუნველყოფილ უნდა იქნენ მისი ოჯახის შემდეგი წევრნი, რომელნიც გარდაცვალებულის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე იმყოფებოდნენ:

ა) შვილები, ძმები და დები, რომელთაც არ მიუღწევიათ თექვსმეტი წლის ასაკისათვის, ხოლო სასწავლებელში მოსწავლენი—თვრამეტი წლის ასაკისათვის;

ბ) შვილები, ძმები და დები, რომელთაც, თუნდაც მათ მიეღწიოთ თექვსმეტი თუ თვრამეტი წლის ასაკისათვის, დაკარგეს შრომის უნარი ამ ასაკის მიღწევამდე;

გ) მშობლები და მეუღლე—შრომისუუნარონი ან მოხუცნი, ე. ი. რომელთაც მიაღწიეს: მამაკაცებმა—სამოც წელს, ხოლო ქალებმა—ორმოცდახუთმეტ წელს;

დ) ერთი მშობელთაგანი ან მეუღლე,—შრომის უნარისა და ასაკის მიუხედავად,—უკეთუ იგი უვლის გარდაცვალებული მარჩენალის შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც რვა წელი არ შესრულებიათ“.

„**189¹**. გარდაცვალებული თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული მარჩენალის ოჯახის ის წევრნი, რომელნიც 189 მუხლში არიან აღნიშნულნი, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ:

ა) უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევისა თუ პროფესიონალური დაავადების გამო,—დაქირავებით მუშაობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა სხვა მიზეზების გამო და იმ დღისთვის, როდესაც იგი მოკვდა ან დამტკიცდა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვა, იგი მიღწეული იყო ოცი წლის ასაკს, თანაც უკეთუ მარჩენალს აქვს დაქირავებით მუშაობის საერთო სტაჟი: მუშას—ერთი წლიდან რვა წლამდე და მოსამსახურეს—ერთი წლიდან თორმეტ წლამდე, ასაკის მიხედვით; ხოლო, უკეთუ მარჩენალს აღნიშნული დღისათვის არ მიუღწევია ოცი წლის ასაკისათვის, მარჩენალის დაქირავებით მუშაობის ხანგრძლიობის მიუხედავად;

მ) უკეთუ ოჯახის მარჩენალი იღებდა პენსიას სოციალური დაზღვევის წესით ინვალიდობისა თუ სიბერის გამო,— მარჩენლის შრომის სტაჟის ხანგრძლიობის მიუხედავად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„189². გარდაცვალებული მარჩენალის ოჯახის იმ წევრებს, რომელნიც 189 მუხ. არიან აღნიშნულნი, უზრუნველყოფის უფლება აქვთ, უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა:

ა) იმ დროს, როდესაც იგი დაქირავებით მუშაობაზე ირიცხებოდა;

ბ) ერთი წლის განმავლობაში დღიდან მის მიერ დაქირავებით მუშაობის მოსპობისა;

გ) ერთი წლის განმავლობაში დღიდან დროებითი შრომისუუნარობისათვის მინაცემი დახმარების მოსპობისა, უკეთუ მარჩენალი ამ დახმარებას იღებდა დაქირავებით მუშაობის მოსპობის შემდეგ;

დ) უმუშევრობისათვის უზრუნველყოფის პერიოდში;

ე) დამზღვევი სალაროდან პენსიის მიღების პერიოდში ან ერთი წლის განმავლობაში პენსიის უკანასკნელად მიცემის დღიდან.“

„189³. პენსია ინვალიდობის გამო იმ პირს, რომელმაც თავისი შრომის უნარი სრულიად დაკარგა და რომელსაც ესაჭიროება სხვისი მოვლა, დაენიშნება:

ა) დაქირავებით მუშაობის მთელი საშოვარის რაოდენობით, უკეთუ იგი დაინვალიდდა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის გამო ან პროფესიონალური დაავადების გამო;

ბ) არა ნაკლებ, ვიდრე დაქირავებით მუშაობის საშოვარის ორი მესამედის რაოდენობით, უკეთუ იგი დაინვალიდდა სხვა მიზეზების გამო.

სხვა ჯგუფების ინვალიდებს პენსია დაენიშნებათ შემცირებული რაოდენობით, ინვალიდობის იმ ჯგუფის მიხედვით, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

სიბერის გამო გასაცემი პენსია დაინიშნება არა ნაკლებ, ვიდრე პენსიონერის დაქირავებით მუშაობის წინანდელი საშოვარის ნახევარი რაოდენობით.“

„189⁴. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსია იმ ოჯახს, რომელიც შესდგება სამი ან მეტი უზრუნველსაყოფელი პირისაგან (მუხ. 189), დაენიშნება:

ა) არა ნაკლებ, ვიდრე მარჩენალის დაქირავებით მუშაობის საშოვარის სამი მეოთხედის რაოდენობით, უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის გამო, ან პროფესიონალური დაავადების გამო, ან და, უკეთუ მარჩენალი უგზო-უკვლოდ დაიკარგა დაქირავებით მუშაობასთან დაკავშირებით;

ბ) არა ნაკლებ, ვიდრე მარჩენალის დაქირავებით მუშაობის საშოვარის ოთხი მეცხრედის რაოდენობით, უკეთუ მარჩენალი გარდაიცვალა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა სხვა მიზეზის გამო.

ხოლო, როდესაც ოჯახში იმყოფება ორი უდედმამო ობოლი, პენსია ყველა შემთხვევაში დაინიშნება არა ნაკლებ, ვიდრე მარჩენალის დაქირავებით მუშაობის საშოვარის სამი მეოთხედის რაოდენობით.

პენსია იმ ოჯახს, რომელიც ერთი ან ორი პირისაგან შესდგება, დაენიშნება შემცირებული რაოდენობით.“

189⁵. სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო განსაზღვრავს:

ა) ინვალიდობის ჯგუფებს, რომლის მიხედვითაც ინვალიდებს ან მათი ოჯახის წევრებს პენსია არ დაენიშნებათ;

ბ) უკიდურეს თანხებს, რომელზედაც მეტი ან ნაკლები პენსია ამ თუ იმ სახისა არ შეიძლება დაინიშნოს სხვადასხვა ზოლებისათვის“:

„189[8]. 189[6] და 189[7] მუხლებში აღნიშნული ვადების გადაცილების შემდეგ პენსიის დანიშვნა შეიძლება მოხდეს განსაკუთრებულ შემთხვევაში, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საბჭოს მიერ დადგენილი წესისამებრ.“

„189[9]. ზემოაღნიშნული მუხლების წესისამებრ უზრუნველყოფილ უნდა იქნენ:

ა) ინვალიდები და ისეთი ოჯახის შრომისუუნარო წევრები, რომელმაც დაკარგა მარჩენალი,—მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მოკლებულ იქნებიან შრომის უნარს;

ბ) მოხუცი მშობლები და მეუღლე—სიკვდილამდე;

გ) ის მშობლები და მეუღლე, ვინც უვლის გარდაცვალებული მარჩენალის შვილებს, ძმებს და დებს, რომელთაც რვა წელი არ შესრულებიათ—იმ დრომდე, ვიდრე ეს უკანასკნელნი რვა წლისანი გახდებოდნენ;

დ) გარდაცვალებული მარჩენალის შვილები, ძმები და დები, რომელთაც თექვსმეტი (თვრამეტი) წლის ასაკისათვის არ მიუღწევიათ—ამ ასაკის მიღწევამდე;

ე) ის პირნი, რომელნიც უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სიბერის გამო,—სიკვდილამდე“.

„190[1]. შეღავათები სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთათვის—სოციალური დაზღვევის წესისამებრ პენსიით და დახმარებით უზრუნველყოფის სფეროში—დაწესდება „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათა ოჯახთა შეღავათების თაობაზე“ მომქმედი კოდექსით“.

„190[2]. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს უფლება აქვს დააწესოს უზრუნველყოფის ეს თუ ის სახე, განსაკუთრებული პირობები, განსაკუთრებული ნორმები და განსაკუთრებული ვადები უზრუნველყოფისა, აგრეთვე განსაკუთრებული წესი პენსიისა და დახმარების გამოანგარიშებისა დაზღვეულთა და მათ ოჯახთა შემდეგი კატეგორიებისათვის.

ა) იმ პირთათვის, რომელნიც მოსაქმეობენ სასეზონო და დროებითის სამუშაოებზე;

ბ) იმ პირთათვის, რომელნიც მოსაქმეობენ დაქირავებით საგლეხო მეურნეობაში;

გ) იმ პირთათვის რომელნიც მოსაქმეობენ დაქირავებით საოჯახო მეურნეობაში;

დ) იმ შეგირდებისათვის, რომელნიც მოსაქმეობენ შინამრეწველებთან და ხელოსნებთან, სარეწაო კოოპერაციაში და შრომის არტელებში;

ე) პატიოსან ლიმონთა და ძვირფას ქვათა მოპოვებაზე მოსაქმეთათვის (სტარატელი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ბინაზე მიმუშავეთათვის;

ზ) იმ პირთათვის, რომელნიც დაქირავებით მოსაქმეობენ სსრკ-ის დაწესებულებასა და საწარმოში საზღვარგარედ".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

122. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 115 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 115 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. მავნებლობის გამო დამატებითი შვებულების მიღების უფლება, განსაკუთრებით მავნებელ და საშიშ წარმოებაში მომუშავეების თანაბრად, აქვთ აგრეთვე განსაკუთრებით მავნებელი კლიმატიური პირობების მქონე რაიონებში მოსაქმე ცალკეული კატეგორიების მომუშავეთ.

ამ რაიონებისა და იმ მომუშავეთა კატეგორიების სიას, რომელთაც ეძლევათ დამატებითი შვებულება, დაადგენს სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატი—ა/კსფსრ მთავრობასთან შეთანხმებით".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი— სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 157 №-ში 1930 წ. ივნისის 15-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

123. სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 აპრილის 14-ის თარიღისა და 155 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე გავრცელების შესახებ.

„მუშათა საღამოს ფაკულტეტებისა, მუშათა საღამოს ინდუსტრიალური ტეხნიკუმებისა და საღამოს ინდუსტრიალურ-ტეხნიკური ინსტიტუტებისა, უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და მუშათა ფაკულტეტებზე შესვლისათვის მომმზადებელი კურსებისა და უმაღლესი ტეხნიკური განათლების ჯგუფთა შენართების მოსწავლეთა შეღავათების შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. აპრილის 14-ის თარიღისა და 155 № ის დადგენილებასთან დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. აპრილის 14-ის თარიღისა და 155 №-ის დადგენილებით (სსრკ-ის შრ. სახ. კო-ტის „იზვესტია“-ს 1930 წ. მე-13 №-ი) მუშათა საღამოს ფაკულტეტებისა, მუშათა საღამოს ინდუსტრიალური ტეხნიკუმებისა, საღამოს ინდუსტრიალურ-ტეხნიკური ინსტიტუტებისა (ბ მათთან არსებული მომმზადებელი განყოფილებებისა, უმაღლეს სასწავლებლებში, ტეხნიკუმებში და მუშათა ფაკულტეტებზე შესვლისთვის მომმზადებელი კურსებისა და უმაღლესი ტეხნიკური განათლებისა ჯგუფთა შენაერთების მოსწავლეთათვის დაწესებული შეღავათები გავრცელებულ იქნეს იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომელნიც მუშაობენ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ საწარმოსა და დაწესებულებაში.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული შეღავათები არა ვრცელდება იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომელნიც მოსაქმეობენ სასეზონო სამუშაოებზე, აგრეთვე დროებითს მუშა-მოსამსახურეებზე, იმ გამონაკლისით, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის შრომისა სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული—1930 წ. აპრილის 14-ის—დადგენილების მე-7 მუხლით.

2. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 22-ის დადგენილება „მუშათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სამუშაო დღის შემცირების შესახებ„ (ა/კფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 117).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოაქვეყნოს იმ თავისი განკარგულებების ნუსხა, რომელთაც დაკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ამერიკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 147 №-ში 1930 წ. ივნისის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

124. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 51 და 54 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს.

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 51 და 54 მუხლები (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697 და 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 23) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. „მუხ. 51. წინა მუხლში (50) აღნიშნული გამოსაღები არ უნდა აღემატებოდეს გასასინჯი ოთხფეხი საქონლისა და ცხოველის უმი პროდუქტების ნორმალური შეფასების ნახევარ პროცენტს.

51 მუხლის შენიშვნა დატოვებულ იქნეს წინანდელი რედაქციით.

2. „მუხ. 54. ოთხფეხი საქონლის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადარეკის დროს სავეტერინარო-სასანიტარო გასინჯვის გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს არა უმეტეს ორგზობისა თითო სულზე".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

125. საქალაქო მიწების რენტის გადახდევინების წესების შეცვლის შესახებ.

საქალაქო მიწების რენტის გადახდევინების წესების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 202) შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქალაქო მიწების რენტის გადახდევინების წესების მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 4. რენტის განაკვეთების დასაწესებლად საქალაქო დასახლებული ადგილები განაწილდებიან კლასებად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადგენილ საფუძვლებზე (მუხ. 5).

საქალაქო დასახლებული ადგილების კლასებად დანაწილებას აწარმოებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარდგენისამებრ.

2. წესების მე-5 მუხლის შენიშვნა ამოიშალოს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 157 №-ში 1930 წ. ივნისის 15-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

126. საჭმელებისა და სპირტის სასმელების გამყიდავ საწარმოთა ადგილობრივი გადასახადის უკიდურესი განაკვეთების შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. იპრილის 6-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 25 №-ი, მუხ. 270) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

1. შემცირებულ იქნეს იმ სასადილოების, სადაც ლუდს იძლევიან, ადგილობრივი გადასახადის უკიდურესი რაოდენობა სახელმწიფო სარეწაო გადასახადის რაოდენობის 15 პროცენტამდე.

2. გადიდებულ იქნეს იმ ლუდის დუქნების, სადაც ვაჭრობა 22 საათის შემდეგ საწარმოებს, ადგილობრივი გადასახადის უკიდურესი რაოდენობა სახელმწიფო სარეწაო გადასახადის რაოდენობის 60 პროცენტამდე.

II.

3. ამა დადგენილების 1-ლი განყოფილების შესაბამისად ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების 1926 წ. აგვისტოს 9-ის დებულების 39[1] მუხლი (ა/კ სფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-ი, მუხ. 264 და 1929 წ. მე-17 №-ი, მუხ. 148) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„39[1]. რესტორანებსა, სასადილოებსა, ლუდის დუქნებსა და სხვა ამგვარ საწარმოთ გადასახადი გადაჰხდებათ შემდეგი რაოდენობით:

ა) იმ საწარმოს, რომელიც გასაცემს სპირტის სასმელებს (არაყს, ღვინოს, ლუდს) ან საუბელს, უკეთუ იგი ვაჭრობას აწარმოებს 22 საათის შემდეგ, არა უმეტეს სახელმწიფო სარეწაო გადასახადის რაოდენობის 60 პროცენტისა;

ბ) იმ საწარმოს, რომელიც გასცემს სპირტის სასმელებს (არაყს, ღვინოს, ლუდს),—ლუდის დუქნებისა და ისეთი სასადილოების გამოკლებით, სადაც ლუდს იძლევიან,—არა უმეტეს სახელმწიფო სარეწაო გადასახადის რაოდენობის 30 პროცენტისა;

გ) ლუდის დუქანს და ისეთ სასადილოს, სადაც ლუდს იძლევიან,—არა უმეტეს სახელმწიფო სარეწაო გადასახადის რაოდენობის 15 პროცენტისა.

შენიშვნა 1. ისეთ რესტორანს, სასადილოს, ლუდხანას და სხვ., რომელიც ეკუთვნის სარეწაო გადასახადით ცენტრალიზებული წესისამებრ დასაბეგრავ საწარმოს და ორგანიზაციას, ამა მუხლით გათვალისწინებული გადასახადი გადაჰხდება პროცენტული შეფარდებით სარეწაო გადასახადის რაოდენობასთან, რაც ამ მიზნით გამოიანგარიშება თვითეული ცალკე ოპერატიული ერთეულის ბრუნვაზე.

შენიშვნა 2. ქ. ტფილისში, ბაქოში, ერევანში, ბათუმში და სოხუმში ამა მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობა გადასახადისა შეიძლება დაწესებულ იქნეს ყველა იმ საწარმოსათვის, რომელიც ვაჭრობას 22 საათის შემდეგ აწარმოებს.

III.

4. დადგენილება ესე სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1930 წ. აპრილის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

127. სპირტის სასმელებისა დს სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის გადახდევინებული ჯარიმების განაწილების წესის შესახებ.

„საავქციზო წესების დარღვევისათვის დასადებ გადასახდელთა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 4-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 66 №-ი, მუხ. 615) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. არაპირდაპირი გადასახადების შესახებ გამოცემულ და სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებასა, შენახვასა და გასაღებასთან დაკავშირებულ დადგენილებათა დამრღვევთათვის, სასამართლო და საადმინისტრაციო წესით, დადებული ჯარიმებიდან ორმოცდაათი პროცენტი გადაირიცხება აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივ სახსარში, ხოლო ორმოცდაათი პროცენტი მიეცემათ აღმომჩენთ, განმცხადებელთ და დამჭერთ.

შენიშვნა. საგადასახადო ინსპექციის აგენტებს და აგრეთვე იმ პირებს, რომელთა უშუალო ხელქვეითობაშიაც ეს აგენტები არიან, ამა მუხლით გათვალისწინებული გასამრჯელო არ მიეცემათ და მათთა, როგორც აღმომჩენთა და დამჭერთა, ხვედრი გასამრჯელო ჩაირიცხება, შესაბამისობით, ადგილობრივ სახსარში ან ხაზინის შემოსავალში.

2. იმ დადგენილებათა აღსრულება, რაც გამოტანილია ადმინისტრატიული წესით განხილულ საქმეებზე—არაპირდაპირი გადასახადების წესების დამრღვევთათვის გადასახდელთა დადების შესახებ, დაეკისრებათ იმ საფინანსო ორგანოებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ გადასახადების გადახდევინება, ხოლო სასამართლოების მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებს შეასრულებენ სასამართლოს აღმასრულებელნი.

3. გადახდევინებული ჯარიმა შეიტანება სათანადო ფინანსთა კომისარიატის ან მისი რწმუნებულის დეპოზიტში არაპირდაპირი გადასახადების წესების დარღვევის ადგილის მიხედვით. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა თუ მისი რწმუნებულის დეპოზიტში შესულ თანხებს გაანაწილებენ ეს უკანასკნელნი ამა დადგენილების 1-ლი მუხ. თანახმად.

II.

4. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სპირტის სასმელებისა და სპირტნარევი ნივთიერების უკანონოდ დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის გადახდევინებული ჯარიმებისა და კონფისკეტული საგნების გა-

319

ყიდვით შემოსული თანხების განაწილების წესის შესახებ" გამოცემული 1926 წ. ივნისის 21-სა (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-6 №-ი, მუხ. 681), 1927 წ. ივნისის 17-ისა (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-ი, მუხ. 27) და 1930 წ. თებერვლის 8-ის (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 37) დადგენილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო მოგმისართა საბჭოსი.

128. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების მე-13[1] მუხლის გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების მე-13[1] მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 114) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1930 წ. ივნისის 3.
ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 151 №-ში 1930 წ. ივნისის 9-ს.

შეცდომის გასწორება

ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი	**დაბეჭდილია**	**უნდა იყოს**
მუხ. 106. მუხ. 2	ყოფ. წითელარმიელისა	ყოფ. წითელგვარდიელისა.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 1.677. ტირაჟი 850.